PDF Eraser Free

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში
ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების თაობაზე
ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის
დასკვნა

სსიპ კოლეჯი „ოპიზარი“

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: ნატო გაბოშვილი
წევრი: ბესიკ თეთვაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

(ქ.თბილისი 2020 წელი)

PDF Eraser Free

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: სსიპ კოლეჯი „ოპიზარი“

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: სსიპ

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

(ქ.თბილისი 2020 წელი)

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

PDF Eraser Free

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში ცენტრი) დირექტორის 2020 წლის 17 ივნისის, MES 0 20 00481880 ბრძანების საფუძველზე 2020 წლის 3 ივლისს განხორციელდა ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი სსიპ კოლეჯში ,,ოპიზარი" დღის წესრიგის შესაბამისად (იხ. დანართი 1).

ვიზიტის მიზანი იყო პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში „აგრომექანიზაცია" ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების უფლების მოპოვების მიზნით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2-ე პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შემოწმება.

ექსპერტებმა ვიზიტის განხორციელებამდე შეისწავლეს დაწესებულების მიერ ცენტრში წარდგენილი დოკუმენტაცია, გააანალიზეს და შეადგინეს ვიზიტის დღის წესრიგი. ვიზიტის განხორციელებისას დღის წესრიგის შესაბამისად განხორციელდა დაწესებულების ხელმძღვანელობასთან და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრება; დაწესებულებაში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვასა და შემუშავებასთან დაკავშირებული არსებული პრაქტიკის შემოწმება, პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრება; „აგრომექანიზაციის" საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეების შემოწმება, მათთან გასაუბრება; ინტეგრირებული მოდულების განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის შემოწმება; დაწესებულების ბიბლიოთეკაში არსებული მატერიალური თუ ელექტრონული რესურსის ხელმისაწვდომობის შემოწმება;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მდგრადობის, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმებისა და მათი შესრულების მონიტორინგის მექანიზმების შემოწმება/პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრება; სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

(ქ.თბილისი 2020 წელი)

PDF Eraser Free

პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის არსებული პრაქტიკის შემოწმება/პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრება. პრაქტიკის ობიექტებში ვიზიტი და პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრება

ვიზიტისას ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა აგრომექანიზაციის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ დაწესებულების დასაბუთების შეფასება და შესაბამისობის დადგენა მისიასთან და სტრატეგიული განვითარების გეგმასთან. შესაბამისად, გადამოწმდა, კოლეჯის 7-წლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა და 2020 წლის სამოქმედო გეგმა შეფასდა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 11 თებერვლის №25/ნ ბრძანებით ცვლილებებშეტანილ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტთან - „კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება“ მიმართებით.
ვიზიტის დასასრულს, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეაჯამა გაწეული მუშაობის შედეგები და დაწესებულებას გაეცნო ვიზიტისას გამოკვეთილი ძირითადი მიგნებები.
ვიზიტმა ჩაიარა მშვიდ და საქმიან ატმოსფეროში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

(ქ.თბილისი 2020 წელი)

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა:

PDF Eraser Free

არ დაფიქსირებულა

V. არსებობის შემთხვევაში, წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა:

ქვესტანდარტი 1.1. (ავტორიზაციის დებულება მუხლი 6/პუნქტი ა)-**შესრულებულია**

ქვესტანდარტი 1.3. (ავტორიზაციის დებულება მუხლი 6/პუნქტი გ)-**შესრულებულია**

დუალური მიდგომით განსახორციელებელი საგანმანათლებლო პროგრამიდან „სასტუმრო საქმე“ ამოღებულია მოდული „საწარმოო პრაქტიკა“ - ბრძ. N 77; 06.08.2019წ.

ქვესტანდარტი 1.1. (ავტორიზაციის დებულება მუხლი 6/პუნქტი ა)-**შესრულებულია**

ვებტექნოლოგიების პროგრამაში შეტანილია ცვლილება და საგანმანათლებლო პროგრამაში ასახულია ინფორმაცია არჩევითი მოდულის შესახებ-ბრძ. N 77; 06.08.2019წ.

ქვესტანდარტი 1.2. (ავტორიზაციის დებულება მუხლი 6/პუნქტი ბ)-**შესრულებულია**

პროგრამების კატალოგში გაწერილია თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები და შეფასების წესი.

ქვესტანდარტი 1.4. (ავტორიზაციის დებულება მუხლი 6/პუნქტი დ)-**შესრულებულია**

სსიპ კოლეჯ „ოპიზარის სასწავლო პროცესის რეგულირების წესის“ მე-12 მუხლის, 12.9 პუნქტს დაემატა ლ) ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდა რედაქციით „არასრულწლოვანმა სხვა დოკუმენტებთან ერთად უნდა წარმოადგინოს დაბადების მოწმობის ასლი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

(ქ.თბილისი 2020 წელი)

PDF Eraser Free

და მისი წარმომადგენლის (მშობელი/მეურვე) პირადობის მოწმობის ასლი, რომლითაცდასტურდებაკანონიერი წარმომადგენლობა“ –ბრძ. N 78; 06.08.2019წ ;

ქვესტანდარტი 2.9. (ავტორიზაციის დებულებია მუხლი 7/პუნქტი ი)-**<u>შესრულებულია ნაწილობრივ</u>**

ავტორიზაციის ექსპერტთა წინა ვიზიტის დროს გაიცა რეკომენდაცია: „სტრატეგიული განვითარების გეგმაში სტრატეგიულ მიზნებთაან და ამოცანებთან ერთად გაწერილია შესრულების ინდიკატორები პასუხისმგებელი პირები და ანგარიშგების პერიოდი თუმცა სასურველია შესრულების ინდიკატორები ამოცანებიდან გამომდინარე უფრო მეტად დაკონკრეტდეს და გახდეს გაზომვადი. 2019 წლის ერთწლიანი განვითარების სამოქმედო გეგმა არ იძლევა გაზომვად, კონკრეტულ, მიღწევადი მიზნების შესაბამის ინდიკატორებისა და ინფორმაციის წყაროებს, რომელიც კოლეჯს მისცემს შესაძლებლობას დაინახოს პროგრესი. შესაბამისად სასურველია გაიწეროს გაზომვადი და მიღწევადი ინდიკატორები“ გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულებამ ნაწილობრივ გაითვალისწინა რეკომენდაციები, სამოქმედო გეგმაში შეტანილია მიზანი, გასატარებელი ღონისძიებები, ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი პირი, შესრულების ინდიკატორი და შესრულების სავარაუდო პერიოდი, შეცვალა შესრულების ინდიკატორის ფორმულირება, თუმცა მაინც არ არის გაზომვადი. სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში ინდიკატორები გაზომვადი არაა.

ქვესტანდარტი 3.1. (ავტორიზაციის დებულებია მუხლი 8/პუნქტი ა)-**<u>შესრულებულია</u>**

ქვესტანდარტი 3.2. (ავტორიზაციის დებულებია მუხლი 8/პუნქტი ა)-**<u>შესრულებულია</u>**

პერსონალის პირადი საქმეები მოწესრიგებულია, მათში განთავსებულია რეგულაციით გაწერილი ყველა დოკუმენტი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

(ქ.თბილისი 2020 წელი)

VI.გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

PDF Eraser Free

ინდიკატორი 1.2.1.3

სტრატეგიულ გეგმა (2019-2025წ.წ.) **არ მოიცავს სტრატეგიული მიზნის მისაღწევად შესასრულებელ ამოცანებს**, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ავტორიზაციის პირველი სტანდარტი დარღვეულია, ამიტომ დაწესებულებამ სტრატეგიული გეგმა უნდა მოიყვანოს 1.2.1 კომპონენტის მე-3 ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობაში.

ინდიკატორი 4.1.1.3

დაწესებულებამ ვერიფიკაციის მექანიზმი შესაბამისობაში უნდა მოიყვანოს ავტორიზაციის სტანდარტის 4.1.1. კომპონენტთან.

დაწესებულების მიერ დამტკიცებული რეგულაციით - „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების სწავლის შედეგების შეფასების წესი“ - იკვეთება ავტორიზაციის მეოთხე სტანდარტის დარღვევა, არაა დაცული ინტერესთა კონფლიქტი, რაც გამოიხატება შემდეგით: ხარისხის მართვის მენეჯერი ჩართულია როგორც შეფასების ინსტრუმენტის შემოწმების პროცესში სწავლის შედეგების დადასტურებამდე, ასევე იგი შემდგომ ამოწმებს და აქვს მაკონტროლებელის ფუნქცია, ასევე საკუთარი შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაციის პროცესში არ უნდა იყოს ჩართული მოდულის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებელი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

(ქ.თბილისი 2020 წელი)

PDF Eraser Free

VII. რეკომენდაციების შეჯამება

შესაბამისობის რეკომენდაცია

კომპონენტი 2.4.2. სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

სასურველია დაწესებულებამ გადახედოს „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების სწავლის შედეგების შეფასების წესში“ გაწერილ ვერიფიკაციის მექანიზმს და ვერიფიკაციის პროცესის ქმედითობისათვის გამიჯნოს ვერიფიკაციის ეტაპებისთვის პასუხისმგებელი პირები.

განვითარების რეკომენდაცია

წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულებას **ქვესტანდარტი 2.9.** (ავტორიზაციის დებულება მუხლი 7/პუნქტი ი) (შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები) გაცემული რეკომენდაცია გათვალისწინებული აქვს ნაწილობრივ, კერძოდ სამოქმედო გეგმაში შეტანილია მიზანი, გასატარებელი ღონისძიებები, ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი პირი, შესრულების ინდიკატორი და შესრულების სავარაუდო პერიოდი, **შეცვალა შესრულების ინდიკატორის ფორმულირება, თუმცა მაინც არ არის გაზომვადი, რეკომენდებულია დაწესებულებამ გადახედოს ინდიკატორებს და გახადოს გაზომვადი.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

(ქ.თბილისი 2020 წელი)

PDF Eraser Free

VII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	აგრომექანიზაცია
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია აგრომექანიზაციაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0716
პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „აგრომექანიზაცია“ დამტკიცებულია სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „ოპიზარი“ # 41.31.05.2019 წ. ბრძანებით ინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „აგრომექანიზაცია“ დამტკიცებულია სსიპ კოლეჯის „ოპიზარი“ #29 12.06.2020 წ ბრძანებით
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

(ქ.თბილისი 2020 წელი)

PDF Eraser Free

პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. ახალციხე რუსთაველის ქ. №111
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	28
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან,პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს*(არსებობის შემთხვევაში).*	28
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	150
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	92
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	180
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	122

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

(ქ.თბილისი 2020 წელი)

VIII. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტებთან შესაბამისობის ცხრილი

PDF Eraser Free

ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☒	☐	☐	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	სრული 3	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) პროგრამისგანხორციელებისრესურსი	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლოპროგრამებისშეფასებადაგანვითარება	სრული3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

(ქ.თბილისი 2020 წელი)

PDF Eraser Free

სტანდარტის შეფასება

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის შეფასებახორციელდება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

2.საგანმანათლებლოპროგრამები

2.1 საგანმანათლებლოპროგრამისდაგეგმვადაშემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ.
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

(ქ.თბილისი 2020 წელი)

PDF Eraser Free

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.კოლეჯს აქვს საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც ეფუძნება შრომის ბაზრის და დამსაქმებელთა მოთხოვნათა ანალიზს. შრომის ბაზრისა და კოლეჯის სტრატეგიული გეგმის მოთხოვნის შესაბამისად, მოძიებული აქვს რეგიონში ფუნქციონირებადი დაწესებულებების ნუსხა, რომლის კვლევის საფუძველზეც შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობა. განხილულია კოლეჯის დარგობრივი კათედრის სხდომაზე . სსიპ კოლეჯი "ოპიზარი" 2019 წლიდან ახორციელებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას „აგრომექანიზაცია". როგორც კოლეჯის ადმინისტრაცია აღნიშნავს, ახალციხის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობასთან, სამცხე-ჯავახეთის რეგიონის რესურსცენტრების წარმომადგენლებთან, საჯარო სკოლების ხელმძღვანელებთან, მექანიზაციის ცენტრებში, მსხვილი ფერმერების მფლობელობაში არსებული ტექნიკური სერვისის საწარმოებში, სოფლის მეურნეობის რეგიონულ და რაიონულ საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურებში, სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის რეგიონებში განლაგებულ საცდელ ბაზებზე, კერძო პირების მიერ შექმნილ ფერმერთა მომსახურების ცენტრებში, მოსახლეობასთან და დამსაქმებლებთან შეხვედრების დროს გამოიკვეთა „აგრომექანიზაციის განახლებული პროგრამის განხორციელების საჭიროება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

(ქ.თბილისი 2020 წელი)

PDF Eraser Free

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები განსაზღვრულია პროგრამით და ითვალისწინებს სრულ ზოგად განათლებას, ხოლო **საბაზო განათლებას** - „აგრომექანიზაციის“ სასწავლო გეგმაზე, სადაც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები.

პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურები განსაზღვრულია„პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის წესით“.რომელიც ითვალისწინებს ჩარიცხვის პროცესთან დაკავშირებულ ყველა პროცედურას დაწყებული პროგრამაზე მიღების გამოცხადებიდან დასრულებული პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭებამდე. დოკუმენტი ეფუძნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის №152/ნბრძანებით დამტკიცებულ პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულებას(ცვლილება 26.09.2019 N203/ნ). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები ჩარჩო დოკუმენტთან და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანებასთან # 170/ნ შესაბამისობაშია.

3.პროგრამაზე ჩასარიცხ სტუდენტთა საერთო რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის საფუძველია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების 25-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

4.აგრომექანიზაციის პროგრამისათვის გამოყოფილი სასწავლო გარემოს რაოდენობა და ფართი, კერძოდ, დაწსესებულებაში : ა)1 ოთახი 55,1მ$^{2;}$ (A გარემო); ბ)B - სასწავლო გარემო; 35,8 მ^{2} - კომპიუტერული ლაბორატორია; გ) 2 C გარემო, 72,0 და 53,3 მ$^{2.}$. ავტოფარეხი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისათვის და საზეინკლო სახელოსნო საჭირო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

(ქ.თბილისი 2020 წელი)

PDF Eraser Free

ინვენტარით 14 პროფესიულ სტუდენტზე. ინტეგრირებული მოდულის განხორციელებისთვის საჭირო საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, რომელიც განთავსებულია პრაქტიკის ობიექტზე - ახალციხის N1 საჯარო სკოლაში. ხელშეკრულებით რეგულირდება საბუნებისმეტყველო ლაბორატორიით სარგებლობის წესი. აღნიშნული ლაბორატორია 2 ოთახს მოიცავს, 1 დაახლოებით 60 კვ.მ ფართის , სადაც მერხები, სკამები და კარადებია განთვსებული, მეორე კი დამხმარე ოთახი, 20 კვ.მ, სადაც აღჭურვილობაა განთავსებული. ლაბორატორიაში არის სველი წერტილი, ავს ფანჯრები და არის ბუნებრივი განიავების შესაძლებლობა. ინტეგრირებული მოდულის „მეცნიერება და ტექნოლოგიები“ სწავლის შედეგების მიღწევა შესაძლებელია აღნიშნულ ბაზაზე. ერთ მიღებაზე დაწესებულება გეგმავს 14 პროფესიული სტუდენტის მიღებას.

საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები შესაბამისობაშია ჩარჩო დოკუმენტთან, კერძოდ, პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილია A, B და C გარემო შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობით და მასალა-ნედლეულით ასევე პარტნიორ სკოლის აღჭურვილობა ინტეგრირებული მოდულებისათვის. პროგრამით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსი განთავსებულია კოლეჯის ბიბლიოთეკაში, დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის. აღნიშნული საგანმანათლებლო რესურსები ადგილზე გადამოწმდა, რომლებიც ნამდვილად უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას და შესაბამისობაშია საგანმანათლებლო პროგრამასთან. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისათვის დარგობრივი კომპეტენციის გამომუშავებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

(ქ.თბილისი 2020 წელი)

PDF Eraser Free

5.პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი „აგრომექანიზაცია“ იძლევა არჩევითი მოდულების ინტეგრირების შესაძლებლობას და მოიცავს ჩანაწერს არჩევითი მოდულის შესახებ. . პროგრამის ფარგლებში ხორციელდება 3 სავალდებულო არჩევითი მოდული: მარცვლეული კულტურების თესვა, ნიადაგის დამუშავება; თავთავიანი და სათოხნი კულტურების აღება.

6.საგანმანათლებლო პროგრამა განხილულია დარგობრივი კათედრის სხდომაზე და დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის მიერ, კერძოდ დირექტორის 2020 წლის 12 ივნისის N 29 ბრძანება ცვლილების- დამტკიცების აქტი.

7.პროგრამის სახელწოდებაა „აგრომექანიზაცია“, რომელიც სრულად შეესაბამება პროგრამის შინაარსს და პროგრამით გათვალისწინებული მისაღწევ სწავლის შედეგებს. არ არის შეცდომაში შემყვანი.

8.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულია მისანიჭებელი კვლიფიკაცია „საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია აგრომექანიზაციაში“ , პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა, სწავლების მეთოდოლოგია. კოლეჯის მიერ წარმოდგენილია საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმები. **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

(ქ.თბილისი 2020 წელი)

PDF Eraser Free

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სსიპ კოლეჯის „ოპიზარი“ „სასწავლო პროცესის რეგულირების წესი დამტკიცებული „დირექტორის ბრძანებით N 42 31/05/2019 წელი
  მუხლი. 3 „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება
- დარგობრივი კათედრის სხდომის ოქმი N 10 11.06.2020წ
- საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების აქტი დირექტორის 2020 წლის 12 ივნისის # 29 ბრძანება ცვლილება
- სსიპ კოლეჯის „ოპიზარი“ „სასწავლო პროცესის რეგულირები სწესი„ „დირექტორის ბრძანება N 42 31/05/2019 წელი
  მუხლი 39. „კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგია“
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა/ მოდულები;
- სასწავლო გეგმა
- საგანმანათლებო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობა
- პრაქტიკის ობიექტებთან დადებული ხელშეკრულებები :
  დანართი2 შპს „სოფლის მეურნეობის ლოჯისტიკისა და სერვისების კომპანია “ - ხელშეკრულება N15 20.02.2020 წელი ,
  მემორანდუმი # 26. 10.06 2020 წელი ახალციხის # 1 საჯარო სკოლა
- ერთწლიანი და გრძელვადიანი სამოქმედო გეგმა
- პროფესიული სტანდარტი „აგრომექანიზაცია“
- ინტერვიუს შედეგები

შეფასება:

☒შეესაბამება

☐მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

(ქ.თბილისი 2020 წელი)

☐ნაწილობრივ შეესაბამება
PDF Eraser Free
☐არ შეესაბამება

2.2საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

   პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.ვიზიტის მსვლელობისას ექსპერტების მიერ გადამოწმებული იქნა პროგრამის „აგრომექანიზაციის“ განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია, როგორც კოლეჯში არსებული სასწავლო გარემოთი და მატერიალური რესურსით ასევე პრაქტიკის ობიექტებზე. გადამოწმებით გაირკვა, რომ რესურსების დიდი ნაწილი დაწესებულებას აქვს საკუთრებაში, მცირე ნაწილი კი პრაქტიკის ობიექტზე სარგებლობის უფლებით , ხელშეკრულებით რეგულირდება. კოლეჯს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება N 15

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

ურთიერთთანმშრომლობის შესახებ „სოფლის მეურნეობის ლოჯისტიკისა და სერვისების კომპანია“-სთან (ყოფილილი შპს „მექანიზატორი) 20.02.2020 სადაც მითითებულია პროფესიული მოდულები, რომლის პრაქტიკული სწავლება უნდა განხორციელდეს . კერძოდ: თავთავიანი და სათოხნი კულტურების აღება, ტრაქტორის და კომბაინის ძრავის ტექნიკური სერვისი, ტრაქტორისა და კომბაინის ტრანსმისიისა და სამუხრუჭე სისტემის ტექნიკური სერვისი, ტრაქტორისა და კომბაინის ჰიდრავლიკური სისტემებისა და ელექტრონული მოწყობილობების ტექნიკური სერვისი, კომბაინის სამკალი, სალეწი, საბერტყი და დამაქუცმაცებელი მექანიზმების ტექნიკური სერვისიკულტტექნიკური სამუშაოების ჩასატარებელი მანქანების ტექნიკური სერვისი, პრაქტიკული პროექტი.
დაწესებულებამ წარმოადგინა ხელშეკრულების პროექტი, ხოლო შემდგომ ხელშეკრულება, (დანართი 3 ხელშეკრულება N36 შპს „სასოფლო საკონსულტაციო სამსახურთან“) , რომელთან თანამშრომლობას გეგმავს კოლეჯი პრაქტიკული კომპონენტის განვითარებისა და პროგრამის მდგრადობის მიზნით.

ვიზიტის პროცესში განხორციელდა პრაქტიკის ობიექტის მონახულება -ახალციხის N1 საჯარო სკოლის, სადაც ინტეგრირებული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა იგეგმება. კოლეჯს აქვს გაფორმებული მემორანდუმი ახალციხის N1 საჯარო სკოლასთან, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიით სარგებლობის შესახებ. მემორანდუმში მკაფიოდ გაწერილია როგორ მოხდება სკოლის მოსწავლეებისა და პროფესიული სტუდენტების მიერ ლაბორატორიის გამოყენება, შედგენილია სავარაუდო ცხრილი, რომელიც ითვალისწინებს კოლეჯის სტუდენტების მეორე ცვლაში განთვასებას აღნიშნულ საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში, კვირის გარკვეულ დღეებში. ჩატარდა დირექტორთან და პედაგოგებთან გასაუბრება. დადგინდა, რომ აქ არსებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსი უზრუნველყოფს პრაქტიკის ობიექტზე გატანილი სწავლის შედეგების მიღწევას პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

2.“აგრომექანიზაციის“ პროგრამის განხორციელებისთვის პსდ-ს 5 ზოგად მოდულზე გაფორმებული აქვს ხელშეკრულება 5 პროფესიული განათლების მასწავლებელთან, ხოლო 24 პროფესიულ მოდულებზე - 6 პროფესიული განათლების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

მასწავლებელთან. 3 არჩევით მოდულზე- 2 პროფესიული განათლების მასწავლებელთან, პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობა და დატვირთვა, რომელიც სასწავლო გეგმაში და ხელშეკრულებებშია გაწერილი, უზრუნველყოფს „აგრომექანიზაციის“ პროგრამის განხორციელების მდგრდობას.

3. „აგრომექანიზაციის“ პროგრამის ინტეგრირებული მოდულების პროფესიულ მასწავლებლები შერჩეული არიან კონკურსის წესით. პროფესიული მასწავლებლების კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება იძლევა იმის საშუალებას, რომ პროფესიულმა მასწავლებლებმა უზრუნველყონ პროფესიული სტუდენტებისათვის სწავლის შედეგების შესაბამისი კომპეტენციით აღჭურვა და მათი შეფასება. „პერსონალის სამსახურში მიღების წესის“(დამტკ. 10.07.2014წ; ბრძ. N03; ცვლ. 24.08.2018; ბრძ.N72 და 17.06.2020 წ; ბრძ. 31) მუხლი 4. განსაზღვრული მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნების საფუძველზე დადგინდა, რომ **დაწესებულების მიერ „აგრომექანიზაციის“ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლები შეესაბამებიან დაკავებულ თანამდებობს და აკმაყოფილებენ მათ მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს. პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.**

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს კოლეჯის მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რაც დასტურდება მის პირად საქმეში დაცული კვალიფიკაციის ამსახველი დოკუმენტაციით. კერძოდ, პროგრამის ხელმძღვანელს აქვს შესაბამისი განათლება და მრავალწლიანი გამოცდილება პროფესიული განათლების მასწავლებლის პოზიციაზე მუშაობის, ასევე „აგრომექანიზაციის“ არაინტეგრირებული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ამავე კოლეჯში. . დაწესებულების „ პერსონალის სამსახურში მიღების წესის“(დამტკ. 10.07.2014წ; ბრძ. N03; ცვლ. 24.08.2018; ბრძ.N 72 და 17.06.2020 წ; ბრძ. 31) მუხლი 8. პროგრამის ხელმძღვანელს ირჩევს დარგობრივი კათედრა და გაწერილია მისი უფლებამოსილება. განათლების ხარისხის განვითარების ცენტრში წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, დაწესებულებას განსაზღვრული არ ჰქონდა საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხვნები. რაც ვიზიტის განხორცილების პერიოდში წარმოადგიანა , განხორციელებული ცვლილების სახით. (დანართი 6 - დირექტორის ბრძ.N34; 01.07.2020. „საშტატო განრიგში ცვლილების შეტანის შესახებ“)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

(ქ.თბილისი 2020 წელი)

PDF Eraser Free

პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუსა და მის პირად საქმეში არსებული დოკუმენტაციის საფუძველზე ირკვევა, რომ პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

5.დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსი წარმოდგენილია დაწესებულების ბიბლიოთეკაში, როგორც ნაბეჭდი, ასევე ელექტრონული სახით. ექსპერტების მიერ შერჩევითად გადამოწმდა აღნიშნული ლიტერატურა. საგანმანათლებლო რესურსები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. საბიბლიოთეკო სივრცე საშუალებას იძლევა, რომ პროფესიულმა სტუდენტმა იმუშაოს დამოუკიდებლად, მოიძიოს მისთვის საჭირო ინფორმაცია ინტერნეტით და მიიღოს ბიბლიოთეკარის კვალიფიციური მომსახურეობა. კოლეჯის სამკითხველო დარბაზი აღჭურვილია ინტერნეტით და სათანადო ინვენტარით: კომპიუტერები და პრინტერი. ბიბლიოთეკარს აქვს შესაბამისი უმაღლესი განათლება და ფლობს საბიბლიოთეკო საქმის ცოდნასა და უნარებს. ვიზიტისას დადგინდა, რომ პროფესიული სტუდენტები იყენებენ სასწავლო რესურსებს, რის დასტურადაც ბიბლიოთეკარმა წარმოადგინა პროფესიული სტუდენტების მიერ ბიბლიოთეკიდან სასწავლო რესურსებით სარგებლობის დამადასტურებელი შევსებული ჟურნალი.

6.კოლეჯს გააჩნია სსსმ პირებისათვის ადამიანური რესურსი , კერძოდ ინკლუზიური პროფესიული განათლების ორი შტატგარეშე სპეციალისტი და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა ასისტენტი (შტატგარეშე თანამშრომელი) რომელებიც მასწავლებლეთან ერთად შეიმუშავებენ პროგრამის შესაბამის ინდივიდუალურ გეგმას, რომელიც ადაპტირებული იქნება სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად; ასევე დაწესებულება უზრუნველყოფს სსსმ პირებისათვის ინიდიდუალურ საჭიროებებზე ორიენტირებულ მომსახურებას, მათ შორის საგანმანათლებლო სასწავლო რესურსების ხელმისაწვდომობას. დაწესებულებაში დამონტაჟებულია ლიფტი, რაც სსსმ პირს საშუალებას აძლევს წვდომა ჰქონდეს ნებისმიერ სასწავლო რესურსთან.

7.პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

(ქ.თბილისი 2020 წელი)

PDF Eraser Free

კოლეჯის წესდებით განსაზღვრულია საფინანსო სახსრების წყაროები :ა) შესაბამისი ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრები; ბ) სახელმწიფო შეკვეთის შესრულებიდან მიღებული შემოსავალი; გ) ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული სამუშაოდან მიღებული შემოსავალი; დ) ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები; ე) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები. კოლეჯის ყველა შემოსავალი და ხარჯი აისახება ბიუჯეტში.

კოლეჯის დირექტორი წლის ბოლოს ამტკიცებს მომდევნო წლის ბიუჯეტს(სუბსიდია) და სამინისტროს წარუდგენს შესათანხმებლად. აღნიშნული დაფინანსებიდან ხდება კოლეჯის ყველა ხარჯის გადახდა (ადმინისტრაციული ,კომუნალური, ოფისის ხარჯის,შენობა-ნაგებობების და აღჭურვილობის მოვლა,შენახვვა-შეძენის ხარჯის, მოსაკრებლის და სხვა ხარჯების). კოლეჯი ვაუჩერულიდაფინანსების სახით იღებს სახელმწიფოსგან თითოეული სტუდენტის საწავლის საფასურს კოლეჯში განსახორციელებელი მოდულების ღირებულების შესაბამისად მთლიან პროგრამაზე. პროგრამა ფინანსურად მდგრადია, რადგან პროგრამის დამატება, განხორციელება და მიმდინარეობა ფინანსურად უზრუნველყოფილია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ, ვაუჩერული დაფინანსებიდან გაიცემა პროფესიული განათლების მასწავლებლების შრომის ანაზღაურება (საათების რაოდენობა გაწერილია შრომით ხელშეკრულებაში), პროგრამის სასწავლო მასალებისა და მცირე აღჭურვილობის შეძენის ხარჯი, არსებობის შემთხვევაში-პროგრამით გათვალისწინებული სხვა აქტივობების ორგანიზებასთან დაკავშირებულ ხარჯები(სასწავლო ექსკურსიები, პრაქტიკის ობიექტზე გადაადგილება და სხვა).პროგრამის ბიუჯეტის გათვლის დროს გათვალისწინებულია რენტაბელური სტუდენტთა რაოდეონობა(შემოსავლებისა და პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების გათვალისწინებით, ასევე გასული წლების სტატუსშეჩერებული და შეწყვეტილი კონტიგენტის მცირე რაოდენობის გათვალისწინებით). დაწესებულებამ განაცხადით წარმოადგინა პროგრამის განხორციელების საპროგნოზო ბიუჯეტი. ბიუჯეტში გაწერილია შემოსავლისა და ხარჯების სახეები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

(ქ.თბილისი 2020 წელი)

PDF Eraser Free

- პრაქტიკის ობიექტებთან დადებული ხელშეკრულებები : მემორანდუმი # 26. 10.06 2020 წელი ახალციხის # 1 საჯარო სკოლა
- ხელშეკრულება N 15 ურთიერთთანმშრომლობის შესახებ „სოფლის მეურნეობის ლოჯისტიკისა და სერვისების კომპანია“-სთან 20.02.2020
- დანართი 3 ხელშეკრულება N36 შპს „სასოფლო საკონსულტაციო სამსახურთან“
- პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი დანართი #3
- პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმე და ინფორმაცია კვალიფიკაციის შესახებ.
- პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსი დანართი #4
- პროგრამის ბიუჯეტი დანართი #5
- ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად
- ბიბლიოთეკის დებულება და სარგებლობისწესი
- საბიბლიოთეკო სამკითხველო დარბაზი
- სსიპ კოლეჯის „ოპიზარი“ „სასწავლო პროცესის რეგულირების წესი „დირექტორის ბრძანებით # 42 31/05/2019 წელი
- „სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები“მუხლი. 35
- დარგობრივი კათედრის სხდომის ოქმი#10 11..06.2020
- ინტერვიუს შედეგები;

შეფასება:

☒შეესაბამება

☐მეტწილად შეესაბამება

☐ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

(ქ.თბილისი 2020 წელი)

☐არ შეესაბამება
PDF Eraser Free

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.
2. პსდ აანალიზებსპროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების "სასწავლო პროცესის რეგულირების წესი" (დამტკ. 31.05.2019; ბრძ. N42) და „ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმი" (ბრძ. N15; 06.03.2020წ) რომელიც მოიცავს ხარისხის კონტროლის ციკლურ სისტემას „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე" ითვალისწინებს კოლეჯის მიერ კერძო სექტორთან მუდმივი თანამშრომლობისა და განხორციელებული მოკვლევის საფუძველზე კოლეჯში ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მომზადების ინიციატივას. კოლეჯის დარგობრივი კათედრები კვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე იწყებენ ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებას და /განახორციელებს არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ადაპტირებას. პარტნიორ დამსქმებლებთან კომუნიკაციის გაუმჯობესების მიზნით დაწესებულებამ შეიმუშავა ახალი კითხვარი და განახორციელებს მის დატესტვას; ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებში განსაზღვრულია პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასება და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

(ქ.თბილისი 2020 წელი)

PDF Eraser Free

საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების საჭიროებების გამოვლინების უზრუნველყოფა: ლექციებზე ურთიერთდასწრების, გამოცდილებათა გაზიარების, გაკვეთილზე დასწრების კითხვარით მეცადინეობის ანალიზით, კურსდამთავრებულების, პროფესიული სტუდენტების და პროფესიული მასწავლებლების გამოკითხვით, რეკომენდაციები გაცემით.

2. **პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.** დაწესებულებას "სასწავლო პროცესის რეგულირების წესით" (დამტკ. 31.05.2019; ბრძ. N42) შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების, მათში ცვლილებების შეტანისა და გაუქმების წესები; პროგრამაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის შეფასების მოქმედი სისტემით გათვალისწინებული ღონისძიებების შედეგების ანალიზის, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტში შეტანილი ცვლილებების, შრომის ბაზრის მოთხოვნის (არჩევითი მოდულის შემთხვევაში) ან სხვა გარემოებების საფუძველზე. პროგრამაში ცვლილების ინიცირება შეუძლია კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერს, პროგრამის ხელმძღვანელს, მოდულის განმახორციელებელ ნებისმიერ პირს, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვის მხარდაჭერის ჯგუფის წევრ(ებ)ს, რის შედეგადაც განიხილება დარგობრივი კათედრის სხდომაზე.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სსიპკოლეჯის ,,ოპიზარი" პროფესიულისაგანმანათლებლოპროგრამებისგანხორც იელებისშეფასებისწესი დირექტორის 2019 წლის 31.05. #42 ბრძანება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

(ქ.თბილისი 2020 წელი)

PDF Eraser Free

- „საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების, მათში ცვლილებების შეტანა“ მუხლი N7: „ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლა და გაუქმება“მუხლი N30
- “სასწავლო პროცესის რეგულირების წესი“ (დამტკ. 31.05.2019; ბრძ. N42; ცვლ.ბრძ.N136 31.12.2019 წ.)
- „ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმი“ (ბრძ. N 15; 06.03.2020წ);
- ინტერვიუ ხარისხის მართვის მენეჯერთან.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐მეტწილად შეესაბამება
☐ნაწილობრივ შეესაბამება
☐არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

(ქ.თბილისი 2020 წელი)

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

PDF Eraser Free

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმისმოთხოვნებთანშესაბამისობისაღწერითიმიმოხილვადაანალიზი:

1. სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის თანმიმდევრულ განხორციელებას. დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს ორი სასწავლო გეგმა: ქართულენოვანი და არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის. ქართულენოვანი სტუდენტებისასთვის სასწავლო გეგმით განსაზღვრულია 120 სასწავლო კვირა, ჯამში 150 კრედიტით, ხოლო არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის 143 სასწავლო კვირა - 180 კრედიტით. სასწავლო გეგმაში დაცულია მოდულის წინაპირობები და სტუდენტის კვირეული დატვირთვა. წინაპირობების მქონე მოდულებს შორის ერთკვირიანი შუალედებია.

2.პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

კოლეჯი გეგმავს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით. დასაქმებული სტუდენტების ერთ ჯგუფში გადანაცვლება და მათთვის ხელსაყრელი დროის მორგება,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

მიზნობრივი სიტუაციიდან, სეზონურობიდან გამომდინარე სასწავლო გეგმაში ცვლილების შეტანა და სხვ. „აგრომექანიზაციის“ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას, მოდულის ფარგლებში, სწავლის შედეგების მიღწევა მნიშვნელოვნად უკავშირდება სეზონურ სამუშაოებს, რაზეც საუბრობრობს დაწესებულების ადმინისტრაცია, რომ მოქნილად რეაგირებს განსახორციელებელ ცვლილებებზე, საჭიროების შემთხვევაში.

3. სასწავლოპროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;

სასწავლო პროცესში თანამედროვე მეთოდების გათვალისწინებით გამოიყენება სწავლების შესაბამისი ტექნოლოგიები, რომელიც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას.

ყველა სასწავლო აუდიტორია/ლაბორატორია აღჭურვილია სწავლებისათვის საჭირო თანამედროვე ტექნიკითა და რესურსით, რაც უზრუნველყოფს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენების შესაძლებლობას.

სწავლების მეთოდები აღწერილია მოდულებში. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი აღჭურვილია სწავლებისა და შეფასების სათანადო კომპეტენციებით, რაც მათთან ინტერიუს შედეგებითაც დადასტურდა. დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით ლექციების მსვლელობაში აქტიურად გამოიყენება, პრეზენტაციები და ვიზუალური ელექტრონული მასალები.

პრაქტიკის ობიექტები აღჭურვილია თანამედროვე ტექნოლოგიებით. კოლეჯში ვიზიტის პერიოდში განხორციელდა პრაქტიკის ობიექტების დათვალიერება და დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ <u>**პრაქტიკის ობიექტი აღჭურვილია თანამედროვე დარგის შესაბამისი ტექნოლოგიებით.**</u>

4.პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

(ქ.თბილისი 2020 წელი)

PDF Eraser Free

"სასწავლო პროცესის რეგულირების წესით" (დამტკ. 31.05.2019; ბრძ. N42; ცვლ.ბრძ.N136 31.12.2019 წ.) მუხლი 18[3]ა, საჭიროების შემთხვევაში მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე სსსმ პირებისათვის პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისათვის პროფესიული მასწავლებელი ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტთან ერთად შეადგენს მოდულების/ინდივიდუალურ შეფასების ინსტრუმენტს, სადაც გათვალისწინებული იქნება სტუდენტის საჭიროება (ნაწილობრივ დაქვეითებული სმენადობის, მხედველობის და სხვა საჭიროების მიხედვით)

"სასწავლო პროცესის რეგულირებისწესის" პუნქტი 25.14; 27.10, 28.4, 30.3 -ით განსაზღვრულია, ასევე ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის სხვა საჭიროებებიც, კერძოდ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის შესაძლებლობა შეიძლება დადგეს როცა პროფესიულ სტუდენტს შეჩერებული ჰქონდა სტატუსი და საჭიროებს სასწავლო პროცესში ჩართვას, მობილობის, ფორმალური განათლების აღირების და პროგრამაში ცვლილებების/გაუქმების შემთხვევაში. პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაში, ხოლო არასრულწლოვანი/ქმედუუნარო/შეზღუდულქმედუნარიანი პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში შესაძლოა ჩართულ იქნას მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა განსაზღვრული უნდა იქნას მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ვადის ფარგლებში.

5.პსდ-ს პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული აქვს ხელშეკრულება/მემორანდუმი ურთიერთთანამშრომლობის შესახებ. პსდ-ს მოძიებული აქვს პრაქტიკის ორი ობიექტი: ხელშეკრულება N 15 ურთიერთთანმშრომლობის შესახებ „სოფლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

(ქ.თბილისი 2020 წელი)

PDF Eraser Free

მეურნეობის ლოჯისტიკისა და სერვისების კომპანია“-სთან 20.02.2020 (ყოფილი შპს „მექანიზატორი“) და მემორანდუმი „სსიპ ახალციხის N1 საჯარო სკოლასთან. თუმცა დაწესებულების ადმინისტრაცია გასაუბრების დროს აფიქსირებს მოსაზრებას, პროგრამის მდგრადობის მიზნით, პრაქტიკის ობიექტების რაოდენობის გაზრდის მცდელობის, რაც განაცხდის წარდგენის დრომდე ვერ მოხერხდა პანდემიით გამოწვეული შეზღუდვების გამო. წარმოადგინა ხელშეკრულების პროექტი მესამე ორგანიზიასთან. საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული ზოგადი ინტეგრირებული მოდულებიდან 1 მოდული „მეცნიერება და ტექნოლოგიები“ ხორციელდება როგორც კოლეჯის, ასევე პრაქტიკის ობიექტის, კერძოდ ახალციხის N1 საჯარო სკოლის ბაზაზე. პროფესიულ მოდულებში მითითებულია, რომ სწავლის შედეგები მიიღწევა როგორც კოლეჯის, ამასთან ერთან პრაქტიკის ობიექტის ბაზაზე. კოლეჯის ბაზაზე C გარემოში განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად აუცილებელი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა და საშუალებები, მხოლოდ მცირე სატრანსპორტო საშუალებების გამოყენებით მისაღწევ სწავლის შედეგების დასადასტურებლად მიმართავს კოლეჯი პარტნიორ ორგანიზაციას შპს „სოფლის მეურნეობის ლოჯისტიკისა და სერვისების კომპანიას“, მასთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაცვით.

პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებულ ხელშერულებებსა და მემორანდუმებში სრულად არ არის ასახული განსახორციელებელი მოდულების დასახელება, პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა, რის მიღებაც პრაქტიკის ობიექტს შეუძლია, თუმცა ინტერვიუირებისასაც დაადასტურა პრაქტიკის 2-ვე ობიექტმა , სრულად მოემსახურება 28-ვე პროფესიულ სტუდნეტს პრაქტიკული უნარების გამომუშავების მიზნით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

(ქ.თბილისი 2020 წელი)

PDF Eraser Free

პრაქტიკის ობიექტის ხელმძღვანელებთან ინტერვიუირებისა და ვიზუალური დათვალიერების შედეგად დადასტურდა, რომ პრაქტიკის ობიექტები აღჭურვილია პრაქტიკის ობიექტზე გატანილი მოდულების განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსებით, და ასევე მზად არიან პროფესიული სტუდენტების მისაღებად, ხელშეკრულება/მემორანდუმში მითითებულია რომელი მოდულით გათვალისწინებული სწავლის შედეგები მიიღწევა პრაქტიკის ობიექტებში და რამდენი პროფესიული სტუდენტის მიღებას უზრუნველყოფს.

6.სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს "სამედიცინო დახმარების მექანიზმები" (დამტკ. ბრძ. N 03; 10.07.14წ), კოლეჯის შენობა და ეზო აღჭურვილია თანამედროვე ვიდეო სამეთვალყურეო კამერებით, შენობაში განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი, სადღეღამისო ცვლაში დასაქმებული დარაჯი უზრუნველყოფს აღნიშნული მექანიზმების გამოყენებით კოლეჯში წესრიგის დაცვას. კოლეჯს ჰყავს უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელიც პერიოდულად უტარებს პროფესიულ სტუდენტებს ინსტრუქტაჟს უსაფრთხოების შესახებ. პრაქტიკის ობიექტებზეც დაცულია უსაფრთხოების ნორმები, რაც გადამოწმდა ვიზიტის პერიოდში. ახალციხის N1 საჯარო სკოლაში განთავსებული საბუნებისმეტყველო საგნების ლაბორატორიაში, სადაც უნდა განხორციელდეს ინტეგრირებული მოდულის "მეცნიერება და ტექნოლოგიები"-პრაქტიკული მეცადინეობები, დაცულია უსაფრთხოების ნორმები, არის სველი წერტილი, აქვს ბუნებრივად განიავების შესაძლებლობა. **კოლეჯშიც და პრაქტიკის ობიექტებშიც უზრუნველყოფილია უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემო.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

(ქ.თბილისი 2020 წელი)

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

PDF Eraser Free

- საგანმანათლებლო პროგრამა, სასწავლო გეგმა დანართი ბრძანება.#29 12.06 2020წ.
- პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/ თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან გაფორმებული შპს „სოფლის მეურნეობის ლოჯისტიკისა და სერვისების კომპანია “ - ხელშეკრულება #15 20.02.2020 წელი
- მემორანდუმი # 26. 10.06 2020 წელი ახალციხის # 1 საჯარო სკოლა
- “სასწავლო პროცესის რეგულირების წესი“ (დამტკ. 31.05.2019; ბრძ. N42; ცვლ.ბრძ.N136 31.12.2019 წ.)
- “სამედიცინო დახმარების მექანიზმები“ (დამტკ. ბრძ. N 03; 10.07.14წ),
- „წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის წესი“ (დამტკ.ბრძ.N56; 13.06.2019წ)
- ვებ. გვერდი www.opizarivet.ge
- ვიზუალური დათვალიერება
- ინტერვიუს შედეგები

შეფასება:

☒შეესაბამება
☐მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

(ქ.თბილისი 2020 წელი)

☐ნაწილობრივ შეესაბამება
PDF Eraser Free
☐არ შეესაბამება

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას.

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმისმოთხოვნებთანშესაბამისობისაღწერითიმიმოხილვადაანალიზი:

1.დაწესებულების "სასწავლო პროცესის რეგულირების წესი" (დამტკიცებული 31.05.2019; ბრძ. N42) მუხლი 33, ითვალისწინებს შეფასების ინსტრუმენტის შემუშავებასა და შიდა მონიტორინგს, მტკიცებულებების შეგროვებასა და შენახვას, შეფასების პროცესის ადმინისტრირებას, შეფასების შედეგების გაცნობას პროფესიული სტუდენტისათვის, განმეორებითი შეფასების წესებსა და შეფასების გასაჩივრების რეგულაციებს. შეფასების გასაჩივრებისა და განმეორებითი შეფასების მარეგულირებელი წესების ჩანაწერში მკაფიოდ არ იყო გამოკვეთილი წინმსწრები მოდულის შემთხვევაში, რამდენად საკმარისი იყო გასაჩივრებისა და განმეორებითი შეფასების პროცედურის ჩატარება 5 დღის ვადაში, რაც მოდულებს შორის არსებულ ვადას უკავშირდება. დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია ამასთან დაკავშირებით. ვიზიტის განხორციელების პერიოდში ცვლილება იქნა შეტანილი აღნიშნულ დოკუმენტში და ჩანაწერი დაკონკრეტდა. (დანართი 4 დირექტორის ბრძანებაN 36 02.07.2020 სსიპ კოლეჯ „ოპიზარის „ სასწავლო პროცესის რეგულირების წესში ცვლილების შეტანის შესახებ) დაწესებულების „ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმი"(ბრძ. N 15; 06.03.2020წ) ითვალისწინებს შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციას, რომელსაც ახორციელებს შიდა ვერიფიკაციის ჯგუფის მიერ. შიდა ვერიფიკატორები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

ვალდებულნი არიან განიხილონ შეფასების ინსტრუმენტების პროექტები, შეითანხმონ ან შენიშვნებით და წინადადებები გაუწიონ რეკომენდაცია გონივრულ ვადაში.

პროფესიული სტუდენტის შეფასების სისტემა ეფუძნება ვალიდურობას, სანდოობას, გამჭირვალობასა და სამართლიანობას.

2.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;

სსიპ კოლეჯის „ოპიზარი“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების სწავლის შედეგების შეფასების წესის შესაბამისად (დამტკ. ბრძ.N42; 31.05.2019წ), ხარისხის მართვის მენეჯერი, ხარისხის მართვის სპეციალისტი, სასწავლო პროცესის მენეჯერი, დარგის სპეციალისტი/მასწავლებელი წარმოადგენენ შიდა შემმოწმებლებს (შიდა ვერიფიკატორებს) და სწავლის შედეგების დადასტურებამდე მოდულის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებელთან ერთად ამოწმებენ შეფასების ინსტრუმენტს, თუ რამდენად თავსებადია მოდულით განსაზღვრულ შემდეგ მიმართულებასთან:

ა) არის თუ არა სტუდენტის შეფასების ფურცელში ნათლად გაწერილი თუ რა სახით და როდის უნდა მოხდეს სტუდენტის მიერ დავალების შესრულების წარდგენა;

ბ) არის თუ არა დავალება ნათელი და გასაგები თითოეული სწავლის შედეგისათვის;

გ) აქვს თუ არა დავალებას შესრულების შესაბამისი მოკლე, წერილობითი ინსტრუქცია;

დ) დავალებები მოიცავს თუ არა ყველა სწავლის შედეგის ყველა შესრულების კრიტერიუმს;

ე) არის თუ არა შესაბამისობაში დავალება და დავალების შესრულების წარმოსადგენი მტკიცებულება;

ვ) სტუდენტმა რა სახით და როდის უნდა წარმოადგინოს სწავლის შედეგების/შესრულების კრიტერიუმების დადასტურება;

ყოველი ახალი ჯგუფის შეფასების წინ მოხდება წინა შეფასებების განხილვა და წინა შეფასების შედეგად გამოვლენილი ხარვეზებისა და შენიშვნების გათვალისწინება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

(ქ.თბილისი 2020 წელი)

PDF Eraser Free

შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს, თუმცა, დამტკიცებული რეგულაციით იკვეთება ავტორიზაციის სტანდარტის 4.1.1. კომპონენტის მე-3 ინდიკატორის დარღვევა, არაა დაცული ინტერესთა კონფლიქტი, ხარისხის მართვის მენეჯერი არ უნდა იყოს ჩართული შეფასების ინსტრუმენტის შემოწმების პროცესში სწავლის შედეგების დადასტურებამდე, ხარისხის მართვის მენეჯერმა უნდა შეასრულოს მაკონტროლებელის ფუნქცია, ასევე ვერიფიკაციის პროცესში არ უნდა იყოს ჩართული მოდულის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებელი.

<u>დაწესებულებამ ვერიფიკაციის მექანიზმი შესაბამისობაში უნდა მოიყვანოს ავტორიზაციის სტანდარტის 4.1.1. კომპონენტთან.</u>

- **სასურველია დაწესებულებამ გადახედოს „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების სწავლის შედეგების შეფასების წესში“ გაწერილ ვერიფიკაციის მექანიზმს და ვერიფიკაციის პროცესის ქმედითობისათვის გამიჯნოს ვერიფიკაციის ეტაპებისთვის პასუხისმგებელი პირები.**

3.პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;

დაწესებულების “სასწავლო პროცესის რეგულირების წესით“ (დამტკ. 31.05.2019; ბრძ. N42) შეფასების მტკიცებულებები სასწავლო პროცესის ხარისხის შეფასების მნიშვნელოვანი მტკიცებულებაა. ამიტომაც მათი მოპოვების, აღრიცხვის, შენახვის და განკარგვის წესი შემუშავებულია კოლეჯის მიერ. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა ცოდნის შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ ინფორმაციის/მტკიცებულებები ინახება შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით, ხოლო შეფასების უწყისები უვადოდ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

(ქ.თბილისი 2020 წელი)

4.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

PDF Eraser Free

„ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმი“ (ბრძ. N 15; 06.03.2020წ) ითვალისწინებს სასწავლო პროცესის ხარისხის შეფასების ინსტრუმენტებით გამოვლენილი ხარვეზების მიზეზების გამოვლენას და ხარისხის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით რეკომენდაციების შემუშავებას. ჯგუფურ და ინდივიდუალურ კონსულტაციებს პედაგოგებთან სწავლებისა და შეფასების საკითხებთან დაკავშირებით; არსებული საჭიროებების ანალიზის საფუძველზე პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამების მოდიფიცირებას დადგენილი პროცედურის შესაბამისად; გამოკითხვების/კვლევის ანალიზის შედეგების გამოყენებას სასწავლო პროცესის/პროგრამების გასაუმჯობესებლად. სასწავლო პროცესში გამოიყენება პროფესიულ სტუდენტთა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებები, რომელთა მიზანია სტუდენტთა შემდგომი განვითარება.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სსიპ კოლეჯის „ოპიზარი“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების სწავლის შედეგების შეფასების წესი (დამტკ. ბრძ.N42; 31.05.2019წ)
- “სასწავლო პროცესის რეგულირების წესი“ (დამტკ. 31.05.2019; ბრძ. N42; ცვლ.ბრძ.N136 31.12.2019 წ.)
- „ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმი“ (ბრძ. N 15; 06.03.2020წ);
- კითხვარები
- პროფესიულ სტუდენტთა შეფასების ინსტუმენტების სარეკომენდაციო ფორმა და უწყისების ფორმები . დამტკიცებულია დირექტორის 2019 წლის 10 ივნისის 54# ბრძანებით
- ინტერვიუს შედეგები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

(ქ.თბილისი 2020 წელი)

შეფასება:

PDF Eraser Free

☒შეესაბამება

☐მეტწილად შეესაბამება

☐ნაწილობრივ შეესაბამება

☐არ შეესაბამება

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება☐

X. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი
დანართი 2. ხელშეკრულება N 15 ურთიერთთანმშრომლობის შესახებ „სოფლის მეურნეობის ლოჯისტიკისა და სერვისების კომპანია“-სთან 20.02.2020
დანართი 3 ხელშეკრულება N36 შპს „სასოფლო საკონსულტაციო სამსახურთან“

23.07.2020
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: